№ 825 კვირა, 23 მაისი. 1896—1899 კვირა, 23 მაისი. № 825

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურთ ქარვასლა

...ის-მომწერნი გაზეთის დასაკვე-... მიჰმართავენ რედაქციის დილის ... -3 საათამდე და საღამოს 6—7 ... „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
...ად-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

...რის-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339

## ახალი წიგნი

...იბეჭდა და გასასყიდათ გამოვა **იოსებ იმედაშვილის** გამოცემა, № 12,
რუსეთის მგოსანი

## ა. ს. პუშკინი

მისი ცხოვრება და ლექსები
**(1799—სახსოვარი—1899)**

შედგენილი ი. წინამძღვარისაგან. წიგნს დართული აქვს პუშკი-...ის სურათი (შიგნით და ყდაზე), მოთავსებულია შიგ: ა. ს. პუშკინი, ...ბიოგრაფიული წერილი), წვრილი ლექსები, მებადური და ოქროს ...ვზი. და სხ. შეიცავს 64 გვ. და ღირს 10 კაპ.

ვინც ნაღდათ იყიდის ათ წიგნზე მეტს, მანეთზედ 20 % დააკლ-...ება. გაიგზავნება ფას-დადებითაც. ჩვენის ხარჯითაც მსურველთ მოგვ-...რთონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Книжная торговля І. З. Име...ашвили. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, გიორგიევის ქუჩაზე. (5—1)

## წლის დამლევამდე

## გაზეთი „ცნობის ფურცელი"

ეღირება 4 მან.

## ვ. ზუნიას სტამბა

ბეჭდავს ყოველ გვარ სასტამბო საქმეს, სადარბაზო ბარა-
თებს და სხვა.

ფასი ყველასათვის ხელ-მისაწდომია.

...ამკურნალო და ამბულატორია

## ...ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

...კურნალოში 50 საწოლია ავად-...ფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-... მანაგანისა, ნერვების, საქირურ-... თვალისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,
...ადმდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
...ადმყოფთ სინჯავენ დილის 11 ...თიდგან ნაშუადღევის 3 საა-...მდე. შინაგან და ნერვების ავად-...ფობას სწამლობს **ხ. ბ. თოფურია**. საქირურგო ავადმყოფობას ... სიფილისს **ფ. ქ. ზირაკი.**
...დათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი **ზ. თ. კოზანი.**
...ვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. მარშაკსკი.**
...ლატორიასთან არის კაბინეტი, ...ქიმო და საბაქტეორიოლოგიო ...კვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟის თვის.
სამკურნალო დირექტორი **ხ. ბ. თოფურია**

*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ

## † მღვდელი იოსებ ჭირაქაძე

დღეს სწორედ ერთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა გამოსალმა მუხთალ წუთი-სოფელს ყველასაგან კარგად ცნობილი ქ. ქუთაისში ახალგაზდა მოძღვარი იოსებ ჭირაქაძე. ძლიერ დაანაღვლა მისმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყოველი მისი მცნობი და მეგობარი, არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ მისი გარდაცვალებით უკიდურეს სიღარიბის და გლოვა-ცრემლის უფსკრულში ჩაცვივდნენ მისი მოხუცი მშობლები და მისი ცოლ-შვილი.. ხუთი მცირე წლოვანი ბალღი თავს დასტირო და სიკვდილის სარეცელზე მდებარე თვის მრჩენელს, თავის საიმედო მშობელ მამას, და ეს ცრემლები სიტყვაზე უფრო ძლიერად ღაღადებდნენ იმ შავ-ბნელით მოცულ მყობადის შესახებ, რომლის მოლოდინი მათ უნებლიედ ჰქონდათ. მუცლის ხურვებამ მოუსპო საამქვეყნო ცხოვრება ღონით და ჯანით სავსე ახალგაზდა მოძღვარსა, რომელსაც განუზომელს პატივს სცემდნენ მისი სულიერი შვილები, რომელიც გამოუთქმელად უყვარდათ თვისთა სულიერთა ცხოვართა. ჩვენს დაცემულს და დაქვეითებულ დროს, როდესაც მამაშვილური დამოკიდებულება მოძღვარსა და სამწყსოს შორის ფრიად შერყეულია, მამა იოსებ ჭირაქაძისთანა მღვდლები სწორედ რომ სასიხარულო და სანატრელ მოვლენას შეადგენენ: ისინი წინასწარ უჩვენებენ იმ დროს მოახლოებას, როდესაც დამყარდება ნამდვილ ქრისტიანობრივი მამაშვილური სიყვარული მოძღვარსა და სამწყსოს შორის. ჰკითხეთ თითოეულ სულიერ შვილს მამა იოსებისას, შეეკითხეთ ქუთაისში, ესრედ წოდებულ საფიჩხიას უბანში მცხოვრებლებს, რას გეტყვიან თვალცრემლიანები თვისი დაუვიწყარის მოძღვრის შესახებ, რა გულსაკლავათ მოგითხრობენ ამბავს, იმის მწარე სიკვდილისას და დასაფლავებისას.

აღარ აცალა შავმა სიკვდილმა ეცოცხლა პატიოსან მოძღვარს და თვის სამწყემსო კეთილშობილურ მოღვაწეობით შესამჩნევი კვალი დაემჩნია თავის სამწყსოს ცხოვრებისთვის! სიკვდილი ქვეყნად ბევრნაირია. არის ისეთი სიკვდილი, რომლის გაგონებაზე ადამიანი მცირე დანაღვლიანდება, და მალე დარდს გადიყრის, მაგრამ არის ისეთი სიკვდილიც, რომლის გაგონებით ადამიანს გული და სული ღრმად დაუნაღვლიანდება; მთელი მისი არსება შეირყევა; მთელი მისი თანაგრძნობა გამოწვეულ იქნება. მამა იოსების სიკვდილიც სწორედ ამ უკანასკნელ სიკვდილისას ეკუთვნის. დღესაც მისი ნაცნობები და მეგობრები, გაიხსენებენ რა მიისს უდროვო გარდაცვალებას, ღრმად ამოიოხრებენ და უნებლიედ თვალთაგან მდუღარე ცრემლის წვეთები ჩამოსცვივათ. მამა იოსები ისეთ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც მხოლოდ სიკეთეს და მშვიდობას სთესვენ ცხოვრებაში; ბევრი შეურაცყოფა დაითმინა მან ტფილისის სას. სემინარიის კურსის გათავების შემდეგ, მაგრამ მისგან საჩივარი და დაბეზღება არავის გაუგონია. ეს ღირსება კი ჩვენს დაქუცმაცებულს დროების დიდს ღირსებად უნდა ჩათვლილ-იქმნას. მამა იოსებმა, აღზრდილმა სიღარიბეში, შეასრულა კურსი ტფილისის სას. სემინარიაში 1889 წელსა სტუდენტის ხარისხით... სემინარიაში ის ბეჯითს მოწაფედ ითვლებოდა.. აქ მას გატაცებით უყვარდა საეკკლესიო გალობა, რომლის შესწავლის უნარი ჰქონდა მას მიცემული ბუნების მიერ. კურსის შესრულების შემდეგ ის ხელ დასხმულ იქმნა მთავარ-დიაკვნად ქუთაისში და განწესებულ იქმნა ქუთაისის სამაგალითო საეკკლესიო სკოლის მასწავლებლად... ბოლოს ის ხელდასხმულ იქმნა მღვდლად და ჩაბარდა მას ახლად გახსნილი ქუთაისის მრევლი, „საფიჩხიად" წოდებული... მღვდლობის თანამდებობას მამა იოსები ერთგულად და სამაგალითოთ ასრულებდა; ის ხშირად მრევლს უქადაგებდა და უმოძღვრებდა.. ამასთანავე განსვენებული ითვლებოდა ქუთაისის საეპარქიო დედათა გაბრიელის სასწავლებლის საბჭოს და სანთლის ქარხანის კომიტეტის წევრად.. ამ ორს უკანასკნელს თანამდებობას განსვენებული მოძღვარი პირ-ნათლად ასრულებდა.. მაგრამ სოფელი განა ვისმეს დიდს ხანს ახარებს?!— სწორედ მაშინ, როდესაც თავისს შვილების წამოჩიტებას მოესწრო და სურდა იმათთვის რიგიანი სწავლა განათლება მიეცა, დაუნდობელმა სიკვდილმა მოუსპა ბასრი ცელი მისს ჯერ ნორჩს სიცოცხლეს დაუდროვოდ ამოაფარა მისი სხეული შავ-ბნელი ცივი სამარის ქვეშ... მან დასტოვა უპატრონოდ და უშემწეოდ მეუღლე თვისი ისეთივე პატიოსნებით აღსავსე, როგორიც თვითონ იყო, ხუთი მცირე წლოვანი ბალღი, გულ ჩათუთქულად და გაბასრუ-

ლად კი—თვისი მოხუცი მშობლები, რომელნიც მისგან მოელოდნენ შველას თვისის სიბერის ჟამს და დატირებას თვისის სიკვდილის შემდეგ; მან დასტოვა თვისი ნაცნობი და მეგობრები ნაღვლით აღსავსე, მუხთალ წუთისოფლის მომდურავნი... საუკუნოდ იყოს ხსენება და კურთხევა შენი, დაუვიწყარო მეგობარო, პატიოსანო მოძღვარო მამაო იოსებ!.. და შენმა მშობლებმა და ცოლშვილმა იმით მაინც ინუგეშონ, რომ შენშენის სიცოცხლის დღეები პატიოსნურს ცხოვრებაში გაატარე და სიცოცხლის უკანასკნელს წუთამდის არ გიღალატნია, შეძლებისა და გვარად, ადამიანის მაღალ დანიშნულების მიმართ ერთ გულ სამსახურისათვის. მართალია ცოტა ხანს იცოცხლე, მაგრამ სახელოვანი სიკდილი გვხდა წილად და ასეთი სიკვდილი ხომ ხანგრძლივ ნაძრახს სიცოცხლეს ათას წილად სჯობია.

ილ. ფერაძე

# ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებლის ჩამობრძანება. უკანასკნელის ცნობით მთავარ-მართებელი კავკასიისა თავ. გოლიცინი თავის სამხედრო კანცელარიით გამოემგზავრება პეტერბურგიდან მაისის 25-სა, ასე რომ ტფილის ჩამობრძანდება ამ თვის დამლევს. მთავარ-მართებელი თურმე წამობრძანდება კავკავიდან პეტროვსკსა და ბაქოზე.

*** მტკვრის წყალდიდობა. თანდათან მტკვარი კლებულობს და ადვილი შესაძლებელია, რომ რიყეს არა დაუშავდეს-რა და წელს გადარჩნენ რიყელები ჩვეულებრივ უბედურებას წყალდიდობის გამო.

*** გურია-სამეგრელოს წმ. სანთლის ვაჭრობის თვალყურის დევნა თანხმად ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს თხოვნისა მიენდვიათ სამქციზო მოხელეთათვის. ამით უეჭველია წმ. სანთლის ვაჭრობა ცოტათი მაინც გაწესრიგდება.

*** საიუნკრო სასწავლებლის კანდიდატები. როგორც „ახ. მიმოხ.“ იუწყება საიუნკრო სასწავლებლის უფროსის თანამდებობაზე პოლკოვნიკი კოლუბიაკინის მაგიერ, დაინიშნება ან პოლკოვნიკი შულცი ან არა და პოლკოვნიკი ნეკრასოვი.

*** ქუთაისის ბანკობანა. ამავე გაზეთის სიტყვით, ქუთაისში 50 წევრს სააღგილ-მამულო ბანკისას ცხადუერი თხოვნა შეუტანიათ გამგეობაში, რომ დამდეგ კრებაზე, რომელიც უნდა მოხდეს 31 მაის, წაკითხულ უნდა იქმნეს რევიზორის ანგარიშიო, რომელიც, როგორც ყველამ უწყის, შეეხება ბანკის გამგეობის წესრიგს თუ უწესოებასო.

*** ისევ ვითომდა სახალხო წარმოდგენაზე. პარასკევს, 21 მაისს, ნიკიტინის ცირკში ვიღაც ფაციაშვილის მეთაურობით დაუმახინჯებიათ „არსენა“ და „ოინბაზი“. ამ სალახანურ წარმოდგენის დამსწრეთ გულის წყრომით შემოგვჩივლეს, რომ თუ როგორმე ბოლო არ მოეღო ასეთს სალახანურ წარმოდგენებს. ხალხი სრულებით გულს აიცრუებს ქართულ თეატრზე და დრამატიული საზოგადოების შრომა და მეცადინეობა უნაყოფო იქნება, რადგან საქმის გაფუჭება ერთი ათასად უფრო ადვილია ვიდრე გაკეთება.

*** **თელავი.** სულიერი შურისძიება. ყველგან ქალაქებში, დაბებში და სოფლებში არიან მშვიდობიანობის დამცველნი, რომელნიც ადევნებენ თვალყურს, რომ მშვიდობიანობა და სიჩუმე არ იყვეს დარღვეული. სხვათა შორის თელავსაც ჰყავს მშვიდობიანობის დამცველნი, რომლებსაც „გოროდოვებს“ ეძახიან. მართალია თელავს ჰყავს მშვიდობიანობის დამცველნი, მაგრამ აბა რა ყოლაა, როცა თვითონ არღვევენ მშვიდობიანობას და უწესოებას ჩადიან. სხვას რასაკვირველია თავს დავანებებთ და მარტო ერთ შემთხვევას ავწერთ, რომელიც ეხლახან მოხდა

ხუთშაბათს, 13 მაისს, სალამოთი ლოცვის, უკან ქალაქის ბაღში სკამზე მჯდარან რამდენიმე ახალგაზდა. ამ დროს მოსულა ერთი პოლიციელი (გოროდოვოი) და ერთისთვის ბ—ს საყელოში ხელი წაუვლია; ახალგაზდას რამდენჯერმე უთქვამს „გამიშვიო“, მერე რომ აღარ გაუშვია, ხელი უკრავს და წაუბარბაცებია. „გოროდოვოის“ სწყენია, როგორ თუ ხელი გამაშვებინეო და ხმალი ამოუღია, მაგრამ მათ ხლმის ამოღება აღარ დაუცალებიათ, მიჰვარდნიან და ორიოდეც მიურტყავთ; ამის შემდეგ პოლიციელს რევოლვერი ამოუღია, მაგრამ ხალხს გაუშველებიათ და გადაუნარჩუნებიათ უბედურებისაგან. მაშინვე ეს ამბავი ბოქაულს შეატყობინეს. ბოქაული ბაღში, მოვიდა, სადაც პოლიციელიც იყო. გამოკითხეს იმას და იქ მყოფებსაც. პოლიციელმა თავის მართლება დაიწყო და ბოქაულს უთხრა, რომ ახალგაზდანი დამეხვივნენ და კინაღამ მომკლესო. მერე იქ მყოფთ ჰკითხეს. იმათ დაწვრილებით უამბეს, როგორც იყო საქმე და პოლიციელი გაამტყუნეს. ბინდისას, როცა ახალგაზდები, რომლებთანაც ჩხუბი მოუვიდა პოლიციელს მიდიოდნენ შინ, ბაზარში მიეპარა ხსენებული პოლიციელი და გვერდიდან რევოლვერი ესროლა, მაგრამ ბედზე რევოლვერის ამოღებაზე თვალი შეეს წრო მას და მიჰვარდნოდა ხელებში, ისე რომ თვითონ კი აიცდინა ტყვია, მაგრამ იმის ახლოს მდგომ პატარა მოწაფეს მოხვდა მკლავში, მერე დუქნის დარაბას დაეჯახა და დუქნის პატრონს გვერდზე გაუარა.

როგორც ამბობენ მეორედაც უნდოდა პოლიციელს ესროლნა, მაგრამ ხალხმა დაიჭირა და ცემა დაუწყო. ასეთი ამბავი დატრიალდა და კინაღამ სამისული არ იმსხვერპლა ამ ჩხუბმა. არც ერთი პოლიციელი არ მოსულა, თუმცა ყვირილი სტვენა მრავალი იყო. ბოლოს ერთმა აქაურმა ვაჭარმა რა დაინახა, რომ არავინ იყო წამყვანი, თვითონ დაიჭირა პოლიციელი და მიჰყვა პოლიციაში, გზაზე ბოქაულიც შემოხვდათ, რომელთაც ჩაიბარეს მშვიდობიანობის დამცველი და წაიყვანეს პოლიციაში. ამ რიგად ვიღაც გონებადამთხვეულმა პოლიციელმა კინაღამ სამი კაცი მოკლა მხეცური შურის ძიების გამო.

—ლი.

**ს ზანა.** (სამეგრელო) არა სასიამოვნო ამბავი. აგერ წელიწად ნახევარია, რაც საზოგადოებას ვეხვეწეთ—ვემუდარეთ, რომ წერაკითხვის სკოლისთვის საჭირო შენობა აეგოთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ამ დროებით სკოლა იმყოფებოდა ბლაღოჩინი კონსტანტინე ბერიძის მიერ დათმობილ სადუქნო შენობაში. მაგრამ მოსწავლეთა სიმრავლის გამო შენობა სასკოლოთ მოუხერხებელია. და რადგან საზოგადოება არ აშენებს სასკოლო შენობას, ამიტომ გამგე-მმართველი ამა სკოლისა ბლაღოჩინი ბერიძე ჰკეტს სკოლას ეგზამენიების შემდეგ, მართლა უნდა მოვახსენოთ.

გურულ-მეგრელი

*** **კალაური.** (კახეთი) განათლების და დაწინაურების მდომელი. სოფელი კალაური მდებარეობს 18 ვერსის სიშორეზე თელავიდან და ძევს ცივ-გომბორის მთის კალთაზე. ამ სოფელში ითვლება ოთხასამდე კომლი. ეს სოფელი სწავლა განათლების მხრივ სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ არის კარგ ნიადაგზე დაყენებული. ამ სტრიქონების წამკითხველი იფიქრებს იქნება ამოდენა ხალხს მარ-
ტო ერთი ორკლასიანი სკოლ[...]
აქვთ და მას უნივიან ან კიდ[...]
გაფართოვებას ჰლამობენო. სრუ-
ლებითაც არა, აბა ეგ რა იფიქრე[...]
ორ კლასიანი სკოლა რომ ჰქონ-
დეთ ხომ იმათ ბედს ძაღლი არ
დაჰყეფს, საქმე იმაშია რომ, რომ[...]
რავქნა. მეშინიან თქმისა; ჰ[...]
რადგანაც დავიწყე და შევაწუ[...]
მკითხველი ამის წაკითხვით, და[...]
ვათავებ კიდე, რომ ამათ არ[...]
სულ არა აქვთ ან სწორედ რო[...]
ვსთქვათ, ამათ სკოლის სახელ[...]
არც კი იციან.—ეს სოფელი შ[...]
ადგენს ერთს სამრევლოს, რომელ[...]
საც მწყობს მ. დიმიტრი კალატო[...]
ზოვი. აქ ვერ შეჰხვდებით იმ ჩხუბ[...]
და სამდურავს ლვდელზე, რომელი[...]
სხვაგან ხშირია. ძნელი გამოსათქ[...]
მელია იმისი დიდ-სულოვნება დ[...]
სულ-გრძელობა და სოფლელ[...]
როგორ უყვართ, მაგრა სამაგი[...]
როდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მო[...]
ხელენი არ უვარგანან, ისინი არია[...]
მარტო თავიანთ ჯიბისთვის [...]
არა სოფლისათვის ხომ მოგე[...]
სენებათ „ერთი მერცხალი ზა[...]
ხულს ვერ მოიყვანს“ სოფელშ[...]
მარტო ერთ მღვდელს აბა რა შ[...]
უძლიან გააკეთოს თუ მოხელეებ[...]
მაინც შემწენი არ იქმნებიან, წა[...]
სულს დიდ-მარხვაში პატ. მღვდლ[...]
მეცადინეობით გაიხსნა სამ-გა[...]
ყოფილებიანი სამრევლო სკოლ[...]
რომლის მასწავლებლობა იკის[...]
თვითონ და აკისრინა მედავ[...]
ნეებს უსასყიდლოდ. გახსნეს სკ[...]
ლა, მაგრამ გლეხებს თავიანთი შვ[...]
ლები მაინც არ მიჰყავდათ, მინ[...]
თვით მღვდელმა არ ჩამოუარა [...]
არ აუხსნა სათითაოდ სწავლა [...]
არის და რა სარგებლობა შე[...]
ლიან მოუტანოს ამის შემდეგ [...]
ცოტ-ცოტათი მოჰყავთ გლეხ[...]
თავიანთი შვილები და დღითი-დღ[...]
იზრდება ახლად დაარსებული სკ[...]
ლა.

თე—ლი.

*** **ახალ სენაკი.** შემნახველ [...]
მსესხებელ ბანკის წევრთა კრებ[...]
მაისში, ახალ-სენაკის შემნახველ [...]
გამსესხებელ ბანკში წევრთა [...]
ბაა დანიშნული. ამ მოკლე დრო[...]
ში ისევ წევრთა მოწვევის მიზე[...]
ის არის, რომ ამ ბანკის ერთი [...]
ქმის მწარმოებელთაგანის ახლ[...]
გარდაცვალებულის მაქსიმე ელ[...]
ვას მაგიერ ვინ უნდა იქმნეს [...]
ჩეული. განსვენებული მაქ. ე[...]
ავა ერთი პატიოსანი პირთაგ[...]
იყო, რომელიც სულითა და [...]
ლით იმ ცდაში იყო, რომ ეს [...]
ზოგადო საქმე უკეთ მოწყობი[...]
ყო და ხელ-მოკლეობის დრ[...]
ყველას ესარგებლნა, მაგრამ გ[...]
სვენებულს იმდენი ვერ დასც[...]
და იმედი უნდა ვიქონიოთ, [...]
მომავალ ბ. ბ. წევრთა კრებ[...]
არჩეული იქმნეს ისეთი პირი, [...]

...საც რიგიანად შეეძლოს იმის ...ეების რიგიანად მართვა-წარმ...ა. დღეს ამ ბანკის წევრად ...ლება 153 პირი დიდი ხანია, ... იგი არსებობს, მაგრამ თუ ...ლთა-ხედვის ისარი და მეხსიე... ... არ მღალატობს ერთხელაც ... გამოცხადებულა რომელიმე ...ეთში იმისი მსვლელობა. არა ...ნია, რომ გაზეთში რაიმე დაი...ოს იმის შესახებ მომაკვდინე...ი და შემაფერხებელი შეიქმნ... ამით არამც თუ ბანკი წაავგე... მით უფრო საჭიროა იმისი ...ოცხადება, რადგანაც თვინიერ ...აკისა და იმისი ახლო-მახლო ...ოვრებლების გარდა არავინ ...ს, არსებობს ახალ სენაკში შე...ხველ-გამსესხებელი ბანკი თუ ... მართალია, ღვთით ჯერ-ჯე...ობით იმისი საქმე კარგად მიდ... მაგრამ განა ცუდი იქნება, ...მ კარგს „მარილიც მოაყარ...?.."

— მოწყენილობა. დადგა მაისი ... არა, აქაურებიც ქუჩა-ქუჩა ...იან მოწყენილ-დაღვრემილნი. ...ც წარმოდგენები და არც კეთ...ი საქმე ჯერ სენაკში არ გაკე...ბულა. შარშან ივნისში ერთი ...რმოდგენა ვიხილეთ და ისიც ...თათურების. მას აქეთ, წარმო...ენა სასმელია თუ საჭმელი არ ...კით. კარგი კი იქნებოდა ამ მო...ენილობაში ერთი წარმოდგენა, ...რამ სად არის?..

უცნობ-ნაცნობი

## ქართველები ციმბირში*).

...ციმბირში გადასახლებამ უზრუნ...ლი ცხოვრება, რომლითაც მა...დის შემოზღუდული ვიყავი და...არგა და ძალიან შემაფიქრა ...ს თავზედ. საშუალება უნდა ...მეძებნა, თუ როგორ მომეპოვე...ბა ლუკმა პური. მოჯამაგი...ობა და მგზავსი თანამდებო...ა, რომელიც თავისუფლების ...მზღუდველია, არ მიჯდებოდა ...უაში და რა მექნა სწორეთ არ ...ოდი. ვაჭრობის ნიჭი არა ...ონდა და დამეჩემებია ეს ხელო...ა, ამის პირველათ მოწყობის სა...ალებასაც მოკლებული ვიყავი. ...მ რაღა მექნა! დამრჩა მხოლოდ ...თი საშუალება: მუშაობა, მუ...ობა რომელიც შენს ნებაზეა ...მოკიდებული, გინდა იმუშავებ ... რა რიგათ იმუშავებ იმისდა ...საფერ სასყიდელს მიიღებ, თუ ... იმუშავებ და მოძალეც არავინ ...ავს. ამისი დიდი სურვილი მქონ... მე, რადგანაც თუ ამ ხელობა... გამოვდგებოდი, ბევრს რამე სი...თეს მოველოდი იქიდამ ცხოვ...ებაში. მაგრამ როგორ გინდა გაიმართლო ეს მიზანი 35 წლის კაცმა, ამ ხნის ცხოვრების განებივრებულმა, გაფუჭებულმა, რომელსაც თავის დღეში ჩხირი არ წაგითლია და დღეს გინდა მუშა გახდე და მერმეთ იმისთანა მუშა, რომლის საშუალებით მარტო გინდა ისაზრდოვო ქვეყანაზედ. ერთი ვსთქვი და გადავწყვიტე: ანუ სიკვდილი ანუ გამარჯობა თქვა. ყოველისფერი ჩემი აზრი გაუზიარე ჩემს უმცროს ძმას, რომელიც ყმაწვილობიდან ჩემი ძალიან გამგონი იყო და რჩევის ამსრულებელი და დალოცვილი დღიდან ორნივ შეუდექით სიტყვას საქმით განცხოველებას, შემდეგ მოყოლილმა გარემოებამ დამიმტკიცა, რომ კაცისთვის ყოველისფერი შესაძლებელია. ნურავინ ნუ იტყვის იმას მე ჩემს დღეში არ მიმუშავნია და ვერ ვიმუშავებო. გარდა ოფლით მუშაობისა კაცისთვის ყოველისფერი ამაოა. რაც გინდ ნასწავლი, განათლებული ადამიანი იყოს, თუ მასთან ის უბრალო დღიური ოფლით მუშაობის ამტანი არ არის, მაშინ არ არის მისი კაცობრიობა შეფერებული და ის მოკლებულია ერთად ერთს ზევარდმო ღვთისაგან მინიჭებულ კაცობრიობის თვისებას.—მე დღის მუშათ ვიყავი ინჟინერ ანდრონიკაშვილში, როდესაც ის და მისი თანაშემწე ინჟინერი პაპოვი ირკუტსკის მდინარეზედ ხიდს აკეთებდნენ.

ამასთან ბ-ნი ლიხელი ბრძანებს, რომ „შემდეგ ოთხის წლისა, ე. ი. როგორც გზის მუშაობა დათავდება დაუბრუნდება ძველი დრო ციმბირსო" მაგრამ მე ამაშიაც არ ვარ მათი თანხმა, რადგანაც ძველი დროის დაბრუნება ახლა ციმბირში მოუხერხებელია და ბევრათ ეხლანდელზედ უკეთესი კი, მოსალოდნელია. სხვა რომ არაფერი იყოს იქ ოქროს მადნების საქმე უკუნისამდე დაუსრულებელია კაცი რომ კარგათ დაუკვირდეს საქმეს ძველი დროც არ ყოფილა ციმბირში დასაწუნებელი. აბა ვინ არიან დღეს ტომსკის და ირკუტსკის მილიონერები, აუარებელი სიმდიდრის მქონებელნი, თუ ძველ გადასახლებულთაგანი არა. მაგრამ ანდაზისა არ იყოს „ციხეს კარით და კარს ციხეო" დროსაც კაცი უნდა და მოხმარება. დღეს ხომ უეჭველია, რომ კარგი დრო არის, მაგრამ რამდენია იმისთანა, რომ დღეს გაუშვან სამშობლოში ჩამოსასვლელი ფული თუ ამხანაგებში არ ჩამოითხოვა, თვითონ არა აქვს; რამდენი არიან იმისთანები, რომ დიდი ხანია თავისუფალია, მაგრამ უქონლობისა გამო ვერ დაბრუნებულა სამშობლოში. ბ-ნი ლიხელი სხვათა შორის სამშობლოს სიყვარულზედ სწერს, თუ რა ზომამდის გატაცებულია ქართველი მამულის სიყვარულით. ეს სწორეთ სინამდვილეა. ამ შემთხვევაში ქართველები სრულებით არ წააგავან სხვა ერის კაცს, რომელთაც სადაც გასთენებია და პური უჭამია, იქ მის სამშობლოთ მიაჩნია. მაგრამ ეს ტყუილად არ არის, გაიგებს ყველა მაშინ, როდესაც საქართველოს სასურველი საძირკველი ექნება დაფსქვნილი. მაშ გაუმარჯოს სწავლას, მაგრამ არა იმისთანა სწავლას, რომელსაც დღეს კანტორებში და უბის კნიჟკებში წრიპინ წრიპინის მეტი სარგებლობა არ მოაქვს, არამედ ნამდვილ სწავლას, რომელიც ერთად ერთი საშუალებაა კაცობრიობის წინ წაწევისა და დაუბრუნოს ჩვენ სამშობლოს დროისდა შესაფერად აღზრდილი, მაგრამ ძველებური გმირები და დედები.

ფარნა გეგელია.

*) იხ. «ცნობ. ფურც.» № 824.

## რჩეული აზრები

◆ შენი სიცოცხლის ნუსხა სიკვდილის წინედ უნდა გქონდეს მზათ.

◆ ვისაც მშვიდობით ცხოვრება სურს იგი არ უნდა უტანებოდეს გარეგან სიამეს.

◆ ცხოვრება მეტად გრძელი გზაა, რომელზედაც მრავალი მტვერი ტალახი და თოვლ-ჭყაპი იცის.

◆ ცხოვრებაში არა არის რა მოულოდნელი და უცარი.

◆ ყოველიკე ქვეყნიერებაზე შედეგარამე მიზეზისა.

◆ კაცი დაწინაურებულია არა მარტო იმისთვის, რომ სხვებს მაინც იყოს, არამედ სხვებზე მაღლა იდგეს.

◆ ნუ გეშინიან დასასრულისა, რადგან იგი მხოლოდ ის არის, რაც იყო დასაწყისში.

## ოსმალებისაზრი მასწავლებელზე

ოსმალელი განსაკუთრებულ პატივსა სცემს ხოლმე თავის მასწავლებელს და უფრო საპატიოდ მიაჩნიათ ვიდრე მშობლები. ოსმალელი ამბობს ხოლმე: „დედ-მამამ ზეციდან მოიყვანეს ჩემი სული, ხოლო ჩემმა მასწავლებელმა მიწიდან ზეცას აღიყვანოს სული ჩემი"!

## სხვა-და-სხვა ამბავი

არტისტი ქალი ჰამლეტის როლში. საქვეყნოდ განთქმული არტისტი ქალი სარა ბერნარი, როგორც გაზეთები იუწყებიან, ამას წინად სცენაზე გამოსულა მამაკაცის, ჰამლეტის როლში. გაზეთების სიტყვით ისეთი ჰამლეტი როგორიც სარა ბერნარია ჯერ არავის უნახავსო, ბევრჯერ წარმოდგენაზე დაესწრენ წარჩინებული პირები, გამოჩენილი არტისტები, მწერლები და კრიტიკოსები და ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ არა ვართ მნახველი ასეთის ყოვლად სრულის და ხელოვნურის წარმოდგენისა ჰამლეტის როლისაო.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

20 მაისი.

**პარიზი.** ფალატეფმა სასამართლოს წინადადება მისცა, დერულედი გაამართლეთო. დერულედმა და გაბერმა განაცხადეს, რომ თავისუფლებას არ მივიღებთ, ორივე თუ გამართლებულ არ ვიქნებითო. მოსამართლეებმა მათი განსამართლებელი განჩინება გამოიტანეს. თავმჯდომარემ ბრძანება გასცა განთავისუფლებინათ ბრალდებულნი. საზოგადოება სკამებს ეცა და ჰყვიროდა: „გაუმარჯოს დერულედს, გაუმარჯოს ნაფიც მსაჯულთაო" და მარსელიეზას მღეროდა. დერულედსა და გაბერს გარს შემოეხვივნენ და ყველანი ხელს ართმევდნენ. დერულედმა მადლობა გარდაუხადა მათ და ნაფიც მსაჯულთ და გარეთ გავიდა.

**პარიზი.** სასამართლოდგან გამოსვლის დროს ხალხი ტაშს უკრავდა დერულედს. არავითარი საყურადღებო შემთხვევა არ მომხდარა. დერულედი „პატრიოტთა ლიგის" დარბაზში წავიდა და საღამოს კრებისათვის მიიწვია თავისი მეგობრები.

**პარიზი.** სენატის სამ რესპუბლიკანურ დასის პრეზიდენტები შეეკითხნენ დიუპუის - მართალი არისო ის სიტყვები, რომელთაც გაზეთები გენერალ ერვიეს აწერენ, და ამ შემთხვევაში როგორ ღონისძიების ხმარებას აპირებო. დიუპუიმ უპასუხა, რომ თქვენზედ ნაკლებ არ ავუღელვებივარ გაზეთების ცნობებს სასამართლოში მომხდარ ინციდენტის შესახებ და მე ნამდვილად გავიგებ, რაც მოხდაო. მინისტრმა სთხოვა მათ, დარწმუნებული იყავითო, რომ მე შემიძლიან დროს შესაფერი ზომები ვიხმაროვო.

**პარიზი.** დრეიფუსის საქმე. მანომ მოიგონა სასამართლოს ის სცენა, რომელიც ანრისა და ესტერგაზის შორის მოხდა ბერტულიუსის კაბინეტში და შემდეგ სთქვა, რომ ლეგენდა არის ის ხმები, ვითომც დრეიფუსი გამოტეხილიყვესო. იმან სთქვა, რომ ლებრენ რენო დიდად პატივცემული ოფიცერია, მაგრამ ძლიერ შთაბეჭდილების მქონე და აღტაცებულიო. მანო სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეუძლებელია დრე-

იფუსი გამოტეხილიყოსო, რომელიც მუდამ იმას გაიძახოდა, რომ უდანაშაულო ვარო, და შემდეგ გაჰკიცხა კავენიაკი ამისათვის, რომ ის დაჟინებით ამბობდა, დრეიფუსი გამოტყდაო. მანოს ხასიათი დრეფუსს, რომელიც იმისი ღირსი არიყო, რომ იმის წინ მისი საქმის გადათვალიერების კარები ფართედ გაიღოსო. დასასრულ ბრალმდებელმა სთქვა არა მჯერაო, სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვოს ჩემი თხოვნაო. მთელი საფრანგეთი, მთელი ქვეყნიერობა, მთელი ისტორია განჩინებას მოელისო —სთქვა მანომ, ამიტომ ინებოს სასამართლომ 1894 წლის 22 დეკემბრის განჩინების დარღვევა, და დრეიფუსი ვითარცა დამნაშავე, ისეთს სამხედრო სასამართლოს გარდასცეს, როგორსაც სურდესო. (გახურებული ტაშის ცემაა). კრება დაიშალა.

**მარსელი.** აუარებელი ბრბო ალტაცებით მიეგება მარშანს. სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთ სადილი გამართეს მარშანის პატივსაცემლად. სადილის შემდეგ მარშანი ხელით გამოიყვანეს.

**ჰააგა.** პირველ კომისიის ორივე მცირე კომისია გუშინდელ კრებაზე ვერ მორიგდნენ. ლაპარაკი ახალ შესაირაღებელ იარაღის შესახებ იყო. ამერიკის დელეგატებმა წინადადება შეიტანეს სამუდამო სამედიატორო სასამართლოს დაარსების შესახებ. მათის პროექტის ძალით სამედიატორო სასამართლოს შესადგენად თვითეულ სახელმწიფოს თითო წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს და უნდა შესდგებოდეს სულ ცოტა სამის წევრისაგან. იმ სახელმწიფოთ, რომელნიც ხელს მოაწერენ ხელ-შეკრულობას სამედიატორო სასამართლოს შესახებ, ნება ექმნებათ თვით გადასწყვიტონ, სურთ თუ არა მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოს. სასამართლომ მაშინ უნდა დაადგინოს განაჩენი, როდესაც დარწმუნებულია, რომ მოწინააღმდეგენი დაემორჩილებიან იმის გარდაწყვეტილებას. სასამართლო მაშინვე იქმნება დაარსებული, როდესაც 9 სახელმწიფო (8 ევროპიელია) თანხმობას განაცხადებს. ამ პროექტის გარდა, ამერიკის დელეგატებმა მეორე პროექტიც წარადგინეს შუამავლობის შესახებ. თუ უთანხმოება მოხდა ორ სახელმწიფოს შორის, ამ პროექტით მათ უნდა აარჩიონ თითო სახელმწიფო, რომელთაც მოწმის მაგიერობა უნდა გასწიონ და უნდა ეცადნენ მოწინააღმდეგენი შეარიგონ. თუ ომი მოხდა, ეს მოწმე სახელმწიფონი უნდა ეცადნენ იმის მალე მოსპობას.

**პარიჟი.** საკასსაციო სასამართლო. სასამართლოს სხდომის დაწყებისათანავე მანო შეეხო იმ საიდუმლო საბუთის ქაღალდებს, რომლებიც მოსამართლეებს ეწყო 1894 წ., და სთქა, რომ კანონის მხრივ ეს საბუთის ქაღალდები არა არსებობსო, რადგან იგინი დრეიფუსისათვის არ წარუდგენიათო. მანომ დიდ ხანს განიხილა საიდუმლო dossier-ის საბუთები, განსაკუთრებით პანიცარდის დეპეშა. და დასასრულ მხნედ აღნიშნა, რომ საიდუმლო dossier-ი დრეიფუსის საწინააღმდეგო არა არისრა და ამიტომ არ ესმის, აქამდის რად ერიდებოდნენ ასე იმის განხილვასაო (მოძრაობაა).

**პარიჟი.** კრეზოში ქარხნის მუშებმა სრულიად დაანებეს თავი მუშაობას. მუშებმა შეადგინეს „წინააღმდეგობის სინდიკატი“. გაფიცულებმა შუშხუნები ესროლეს ჟანდარმთა ცხენებს ფეხებში და უნდოდათ ცეცხლი წაეკიდებინათ იმ ადგილისათვის, სადაც ჯარის-კაცნი არიან დასადგურებულნი. მომრიგებელი მოსამართლე შაბათისათვის მოსარიგებელს კრებას იწვევს

**პარიჟი.** საკასაციო პალატა. მანომ, გაიხსენა რა ანრისა და პატი-დე-კლამის გაიძვერული მოქმედებანი, სთქვა, რომ არც ერთი საიდუმლო ბარათთაგანი არ გამოიწვევდა საპოლიტიკო აურ-ზაურსაო, არც ერთით არ ედება ბრალი დრეიფუსს და ვერც ერთი ვერ შეუშლის ხელს სასამართლოს დრეიფუსის საქმის გადასინჯვასაო.

**პარიჟი.** საკასაციო პალატა: მანომ განიხილა უკვე ცნობილი საბუთები, სახელდობრ ისა, რომ ესტერგაზს საშუალება ჰქონდა ეცნობებინა სხვისთვის ბორდეროში ჩამოთვლილი საბუთის ქაღალდებიო. ბოლოს იკითხა: მართლა ჩადენილია ღალატი. თუ ჩვენ თვალწინ საიდუმლო ლანდია, თავხედი გაიძვერაობა და ავკაცობა, ჩადენილი ბორდეროს ავტორის მიერ თავისის უცხოქვეყნელ კორესპოდენტის მიმართ? ეს საშინელი საკითხია, რომელიც უფრო მწუხარე ამბამდე მიგვიყვანს, სახელდობრ, ადამიანის წამებულობამდე, იმ ადამიანისა, რომლის უდანაშაულობასაც რამდენიმე ახალი გარემოება აღნიშნავს. შემდეგ მანომ აღნიშნა პირადად რა ბრწყინვალე ყოფა-მდგომარეობაში იყო დრეიფუსი და დრეიფუსის ქცევა მოქმედება შეუდარა ესტერგაზის ქცევა მოქმედებას. თან დასძინა. თუ არც ერთი შესაწყნარებელი მიზეზი არ არის, რომ გვიჩვენოს, აგვიხსნას, რად ჩაიდენდა დრეიფუსი ამ ბოროტებასაო, სამაგიეროდ მრავალი ნიშანია იმის მაჩვენებელი, რაც შეეძლო ესტერგაზის ჩადენა ამ ბოროტებისაო.

**მოსკოვი.** როდესაც სახალხო მატარებელმა ყაზანის რკინის გზისამ გაიარა 107 და 108 ვერსზედ, ძლიერის ქარის გამო
ავაჭრო დაბას რამდენსამე
ლას ცეცხლი გაუჩნდა, თი
ნახევარი დაბის სახლებისა გ
წვა. ხალხი გაბოროტებული
მატარებელს ქვების სროლა
წყეს. მატარებელს ჟანდარ
მისდევენ თან.

# განცხადებანი


## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойгой итальянской по разнымъ отраслямъ торгово
мышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ уче**
**заведеніи**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе
часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число **каждаго** мѣ

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго началь**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ар
тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на сч
2) монетныя вычисленія, 3)товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5)
говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (5
дачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазина**
**автора: Михайловская ул., № 71.** (100—

*Годъ 3-й.* десять рублей. *Го 3-*

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА **1899 Г.**
**на ежедневную**
ПОЛИТИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНОУЮ ГАЗЕТУ

## „НАРОДЪ“

**(третій годъ изданія)**

Подписная цѣна газеты понижена до **десяти** рублей
годъ съ пересылкою и доставкою повсемѣстно въ Росс

Газета посвящаетъ себя разработкѣ вопросовъ государственной, обще
твенной и хозяйственной жизни русскаго народа.

Въ газетѣ между прочимъ сводится много мѣста вопросамъ железнод
рожнаго дѣла въ Россіи. вопросамъ Церковнымъ, вопросамъ ,военнымъ и в
росамъ, касающимся жизни провинціи.

Сообщеніямъ изъ провинціи широко раскрыты страницы газеты, такъ ка
она сознаетъ важную роль, какую все болѣе и болѣе занимаетъ провинц
въ жизни Русскаго Государства. Всякое сообщеніе, идущее отъ мѣстных
лицъ, касающееся жизни городовъ земствъ, вопросовъ сельско-хозяйстве
ныхъ, торгово-промышленныхъ и т. п., съ благодарностью принимается га
тою, если оно проникнуто духомъ общей пользы, а не личныхъ счетовъ. Д
болѣе яркаго освѣщенія провинціальной жизни въ газетѣ существуетъ особ
отдѣлъ подъ заглавіемъ „Провинціальный фельетонъ“, въ которомъ свѣдѣн
полученныя отъ кореспондентовъ и почерпнутыя изъ провинціальныхъ г
зетъ, разрабатываются сотрудниками, близко знакомыми съ провинціальн
жизнью и спеціально для Етой работы приглашенными.

*ПОДПИСНАЯ ПЛАТА.*

| | На 1 годъ. | На 6 мѣс. | На 3 мѣс. | На 1 мѣ |
|---|---|---|---|---|
| **Въ Россіи**, повсемѣстно, съ перес. и доставкой . . . | 10 р. | 5 р.—к | 2 р. 50 к. | 1 р.— |
| **За Границею**, въ государ. почтоваго союза . . . | 14 » | 7 » 50 » | 3 » 75 » | 1 » 50 |

**подписка принимается:**

Въ С.-ПЕТЕРБУРГѢ: въ Главной Конторѣ газеты, Б. Морская, 3
МОСКВѢ: въ конторѣ биржевого маклера И. Ю. Шульца (
рый гостиный дворъ) въ главномъ газетномъ агентствѣ К. Н. Але
сандровой (на Тверской), а также въ Главномъ Агентствѣ А.
Сенъ-Мартенъ (Неглинный проѣздъ Противъ Гос. Банка.

Гг. провинціальные подписчики благоволятъ обращаться въ Гл
ную Контору газеты въ С.-Петербургѣ.

Редакторъ **Н. Я. Стечькинъ.** Издатель **А. П. Мальшинскій.** (8—

*Годъ 3-й.* десять рублей. *Го 3-*

десять рублей.